

**REDUCTION OF ADVERBIAL SUBORDINATE CLAUSE
BY NON-FINITE FORMS OF VERBS**

გარემოებით დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირება
სახელმწიფო ფორმების საშუალებით ინგლისურ ენაში

Tamar Gelashvili

Doctor of Philology,
Assistant Professor of Samtskhe Javakheti State University,
Akaltsikhe, Rustaveli st. 113, 0800, Georgia,
+995577538430, tamunagelashvili778@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-8692-3102>

Abstract. Several linguistic disciplines study the language in different way. Grammar, which consists of two branches - morphology and syntax, occupies a central place in the system of these disciplines. These fields study two different but closely related aspects of language structure. While morphology studies the groups of words in the language, their general grammatical meanings and categories, the subject of syntax is the combination of words in a sentence. Syntactic categories are closely related to morphological categories, and many syntactic categories are often based on their morphological features.

Simple and complex sentences are different syntactic mechanisms and instruments for expressing opinion in the English language. It means, that each sentence is able to express one and the same semantic meaning with its specific syntactic structure.

Based on the study of the non-finite verb syntactic function, as it was identified that non-finite verbs play an important role in formation of reduced sentence in English. In particular, the verb of dependent sentence is changed into a non-finite form and linked to the main sentence as a part of a sentence and it gives the possibility to form reduced sentences in English languages.

The article discusses the reduction of a complex sentence with adverbial subordination by means of non-finite forms of the verb in the English language and the specifics of the adverbial subordinate clause during reduction.

Keywords: Complex sentence, Syntactic structure, Reduced sentence, Non-finite forms of verbs.

თამარ გელაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი
ახალციხე, რუსთაველის 113, 0800, საქართველო,
+995577538430, tamunagelashvili778@gmail.com
<https://orcid.org/0000-0001-8692-3102>

აბსტრაქტი. ენას ყოველმხრივ რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის. ამ დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკას, რომელიც ორი დარგისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისგან შედგება. ეს დარგები შეისწავლიან ენის აგებულების ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეს. თუ მორფოლოგია სწავლობს ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფებს,

მათთვის დამახასიათებელ ზოგად გრამატიკულ მნიშვნელობებს და კატეგორიებს, სინტაქსის შესწავლის საგანს წარმოადგენს სიტყვათშეერთება წინადადებაში. სინტაქსური კატეგორიები მჭიდროდ არის დაკავშირებული მორფოლოგიურ კატეგორიებთან და ხშირად მრავალ სინტაქსურ კატეგორიას საფუძვლად მორფოლოგიური კატეგორიები უძევს.

ინგლისურ ენაში მარტივი და რთული წინადადებები წარმოადგენს აზრის გადმოცემის სხვადასხვა სახის მექანიზმს და საშუალებას, რაც იმას გულისხმობს, რომ თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი სინტაქსური წყობით შეუძლია გადმოსცეს ერთი და იგივე სემანტიკური მნიშვნელობა.

სახელწმინდების სინტაქსური ფუნქციის კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ სახელწმინდები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ რედუცირებული წინადადების წარმოების დროს ინგლისურში. კერძოდ, დამოკიდებული წინადადებების ზმნა სახელწმინდა გადაკეთდება და დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად მთავარს შეუერთდება, რაც რედუცირებული წინადადების წარმოების საშუალებას გვაძლევს ქართულ და ინგლისურ ენებში.

მოცემულ სტატიაში განხილულია გარემოებით დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირება სახელწმინური ფორმების საშუალებით ინგლისურ ენაში და სანალიზო მასალის გამოყენებით ნაჩვენებია ის თავისებურებები, რაც გარემოებით დაქვემდებარებული რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირების დროს იჩენს თავს.

საკვანძო სიტყვები: რთული ქვეწყობილი წინადადება, სინტაქსური სტრუქტურა, რედუცირებული წინადადება, სახელწმინები.

შესავალი. ენას ყოველმხრივ რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის. ამ დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკას, რომელიც ორი დარგისგან - მორფოლოგიისა და სინტაქსისგან შედგება. ეს დარგები შეისწავლიან ენის აგებულების ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეს. თუ მორფოლოგია სწავლობს ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფებს, მათთვის დამახასიათებელ ზოგად გრამატიკულ მნიშვნელობებს და კატეგორიებს, სინტაქსის შესწავლის საგანს წარმოადგენს სიტყვათშეერთება წინადადებაში. სინტაქსური კატეგორიები მჭიდროდ არის დაკავშირებული მორფოლოგიურ კატეგორიებთან და ხშირად მრავალ სინტაქსურ კატეგორიას საფუძვლად მორფოლოგიური კატეგორიები უძევს.

წინადადების სემანტიკური მნიშვნელობა განაპირობებს ისეთ სინტაქსურ თავისებურებას, რომელიც სახელწმინური ფორმების საშუალებით რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირების საშუალებას გვაძლევს და ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია რედუცირებული წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების სახით წარმოვადგინოთ. რედუცირებული წინადადების მთავარ ელემენტს სწორედ სახელწმინა და სახელწმინური ფორმები წარმოადგენენ ინგლისურ ენაში. რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირება სახელწმინური ფორმების საშუალებით გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება ინგლისურ ენაში.

მეთოდი. იმ კანონზომიერების დასადგენად, თუ როგორ ხდება რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირება სახელწმინური ფორმების საშუალებით ინგლისურ ენაში, გამოვიყენეთ როგორც დაკვირვების, ასევე და მონაცემთა ანალიზის მეთოდები. აღნიშნული კვლევის მეთოდების საშუალებით შესაძლებელი იქნა მოძიებული მაგალითებზე დაკვირვების შედეგად გამოგვევლინა და გავვეანალიზებინა

ის თვისებრივი მახასიათებლები, რაც გარემოებით დაქვემდებარებული რთული ქვეწყობილი წინადადების სახელზმნური ფორმებით რედუცირების შემთხვევაში ვლინდება.

მსჯელობა. ინგლისურში სხვადასხვა ტიპის დაქვემდებარებული წინადადებები გამოიყოფა: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და გარემოებითი, მაგრამ მოცემულ სტატიაში ჩვენ განვიხილოთ, თუ როგორ ხდება გარემოებით დაქვემდებარებული წინადადებების რედუცირება სახელზმნური ფორმების გამოყენებით და რა თავისებურებები ახასიათებთ მათ.

ინგლისურ ენაში გარემოებითი დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადების სხვადასხვა ტიპს განარჩევენ, იმის მიხედვით, თუ რა სახის გარემოებაა გადმოცემული დაქვემდებარებულ ნაწილში და ამის შესაბამისად არსებობს მსაგავსი გარემოების გამომხატველი რედუცირებული წინადადებებიც.

ა) დროის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადება და სახელზმნური ფორმების საშუალებით წარმოებული რედუცირებული წინადადება

„I didn't speak French before I came to France” (Maugham, 1969: 95). („ფრანგულად საუბარი საფრანგეთში ჩამოსვლის შედეგ დავიწყე“) (ა. ჭეიშვილი).

მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადებაა „I didn't speak French” და დროის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადებაა „Before I came to France”. სახელზმნური ფორმის, კერძოდ, გერუნდივის გამოყენებით შესაძლებელია, ეს დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადება შემდეგნაირად იქნეს რედუცირებული: I didn't speak French before coming to France.

დროის გარემოების გამომხატველია სახელზმნური ფორმის გამოყენებით წარმოებული რედუცირებული წინადადება: „When looking about for the candle in the darkness she fell over something very hard ...” (Mitchel, 1973: 78). („როდესაც სიბნელეში სანთელს დაეძებდა, რაღაცას ფეხი წამოჰკრა...“) (ნ. ჩუბინიძე)., რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადების ფორმით შესაძლებელია შემდეგნაირად გადმოიცეს: When she was looking about for the candle in the darkness she fell over something very hard. მოცემულ რთულ ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადებაა „She fell over something very hard” და დროის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადება „When she was looking about for the candle in the darkness”.

მოცემულ მაგალითებში სახელზმნური ფორმები და დროის გარემოებით დაქვემდებარებულ წინადადებაში ზმნა-შემასმენელით გამოხატული გვარის და ასპექტის კატეგორია ურთიერთშესაბამისია. კერძოდ, პირველ მაგალითში დაქვემდებარებულ წინადადებაში „Before I came to France“ ზმნა-შემასმენელი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტით არის წარმოდგენილი და შესაბამის სახელზმნური ფორმით რედუცირებულ წინადადებაში გერუნდივი (coming) მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის ფორმით არის წარმოდგენილი. მსგავსი შემთხვევაა რედუცირებულ წინადადებაშიც, სადაც მიმღეობის ფორმა (looking) მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის ფორმით არის წარმოდგენილი დაქვემდებარებულ ნაწილში ზმნა-შემასმენელის მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის (to be held) შესაბამისად.

დროის გარემოებით დაქვემდებარებულ რთული ქვეწყობილი წინადადების სახელზმნური ფორმებით რედუცირების დროს განსხვავებას ქმნის ის ფაქტორი, თუ როგორი მიმართებაა მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენელსა და დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენელს შორის. კერძოდ, თუ მთავრისა და დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელით გადმოცემული მოქმედებები თითქმის ერთდროულად ხდება, მაშინ რედუცირებულ წინადადებაში სახელზმნური ფორმები მარტივი ასპექტის ფორმით

გამოიყენებინ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედება წინ უსწრებს მთავარ წინადადებაში ზმნა-შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას, მაშინ სახელზმნები შესაბამისი გვარის სრული ასპექტის ფორმით გამოიყენებინ რედუცირებულ წინადადებებში. მაგალითად: “Having reached his room, he entered it with the sigh of relief” (Wild, 1979: 145). („ოთახის კარი რომ შეაღო, შვებით ამოისუნთქა“)(თ. მადრაძე). მოცემული რედუცირებული წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: When he had reached his room, he entered it with the sigh of relief. მოცემულ რთული ქვეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარებული წინადადების ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედება წინ უსწრებს მთავარი წინადადებაში ზმნა-შემასმენლით გადმოცემულ მოქმედებას და შესაბამისად რედუცირებულ წინადადებაში მიმღეობის ფორმა სრული ასპექტის ფორმით არის გამოყენებული (having reached).

ბ) მიზეზის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადება და სახელზმნური ფორმების საშუალებით წარმოებული რედუცირებული წინადადება

მიზეზის გარემოების გამომხატველია სახელზმნური ფორმის საშუალებით წარმოებული რედუცირებული წინადადება: „, Needing some help, they decided to find someone in the field” (Mitchel, 1973: 105). („გადაწყვიტეს ვინმე მოეხმოთ დასახმარებლად“)(ნ. ჩუბინიძე)., რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადების ფორმით შესაძლებელია შემდეგნაირად გადმოიცეს: Because they needed some help they decided to find someone in the field. მოცემულ რთულ ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადებაა „,They decided to find someone in the field ” და მიზეზის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადება „,Because they needed some help.”

მსგავსი სინტაქსური დამოკიდებულებაა მოცემული შემდეგ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაშიც: „,Not wishing to continue with their studies , the brothers decided to return home” (Mitchel, 1973: 23). („რადგან სწავლის გაგრძელების სურვილი არ ჰქონდათ, ძმებმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტეს“)(ნ.ჩუბინიძე). ეს რედუცირებული ფორმა რთული ქვეწყობილი წინადადების სახით შემდეგნაირად გადმოიცემა: Because brothers didn’t want to continue with their studies they decided to return home. მოცემულ რთულ ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადებაა „,They decided to return home” და მიზეზის გარემოებით დაქვემდებარებული წინადადება „,Because the brothers didn’t want to continue with their studies“.

მოცემულ რედუცირებულ წინადადებებში სახელზმნურ ფორმებსა და რთული ქვეწყობილი წინადადების დაქვემდებარებულ ნაწილში გამოყენებულ ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებებს შორის სრული თანხვედრაა ასპექტის და გვარის კატეგორიების მხრივ. კერძოდ, პირველ მაგალითში დაქვემდებარებულ წინადადებაში „,Because they needed some help” ზმნაა -შემასმენელი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტით არის წარმოდგენილი და შესაბამისად სახელზმნური ფორმის საშუალებით რედუცირებულ წინადადებაში გერუნდივი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის ფორმით არის წარმოდგენილი. მსგავსი შემთხვევაა მეორე რედუცირებულ წინადადებაშიც, სადაც მიმღეობის ფორმა მოქმედებითი გვარის უარყოფითი ფორმით და მარტივი ასპექტის სახით არის წარმოდგენილი, რაც განპირობებულია დაქვემდებარებულ ნაწილში ზმნა-შემასმენლის მოქმედებითი გვარის უარყოფითი ფორმით და მარტივი ასპექტით „,Because the brothers didn’t want to continue with their studies“.

გ) თანმხლები გარემოებით დაქვემდებარებული რთული ქვეწყობილი წინადადება და სახელზმნური ფორმების საშუალებით რედუცირებული წინადადება

თანმხლები გარემოების გამომხატველი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარებული და მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მიერ გამოხატული

მოქმედებები ერთდროულად მიმდინარეობს. მაგალითად: „While painting this picture he thought about their last meeting” (Wild, 1979: 156) („როდესაც სურათს ხატავდა, მათ ბოლო შეხვედრაზე ფიქრობდა“)(თ. მალრაძე). მოცემული რედუცირებული წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების ფორმით შემდეგნაირად წაროგვიდგება- While he painted he thought about their last meeting. მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადების მთავარი წინადადებაა „He thought about their last meeting” და თანმხლები გარემოებით დაქვემდებარებული - „While he painted”.

მსგავს მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თანმხლები გარემოების გამომხატველი რედუცირებული წინადადება „While waiting outside I read through the daily newspaper” (Wild, 1979:179). („როდესაც ქუჩაში იცდიდა, გაზეთს თვალი გადაავლო“)(თ.მალრაძე). თუ მოცემულ რედუცირებულ წინადადებას რთული ქვეწყობილი წინადადების ფორმით შევცვლით ის შემდეგ სახეს მიიღებს: While I waited outside I read through the daily newspaper. მოცემულ რთულ ქვეწყობილ წინადადების მთავარი წინადადებაა I read through the daily newspaper. და თანმხლები გარემოებით დაქვემდებარებული - While I waited outside.

ორივე ზემოაღნიშნულ წინადადებაში რედუცირებულ წინადადებების სახელზმნურ ფორმებსა და რთული ქვეწყობილი წინადადების დაქვემდებარებულ ნაწილში გამოყენებულ ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებებს შორის სრული თანხვედრაა გვარის და ასპექტის კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, პირველ წინადადების დაქვემდებარებულ ნაწილში „While he painted” ზმნაა -შემასმენელი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტით არის წარმოდგენილი და შესაბამისად სახელზმნური ფორმის საშუალებით რედუცირებულ წინადადებაში მიმღობა მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის ფორმით არის წარმოდგენილი. მსგავსი მდგომარეობაა მეორე რედუცირებულ წინადადებაში, სადაც მიმღობის ფორმა მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის სახით არის წარმოდგენილი და შესაბამად რთული წინადადების დაქვემდებარებულ ნაწილში ზმნა-შემასმენელი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტით არის წარმოდგენილი - „While I waited outside”.

დ) მიზნის გარემოებით დაქვემდებარებული რთული ქვეწყობილი წინადადება და სახელზმნური ფორმების საშუალებით რედუცირებული წინადადება

მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედების მიზან-დანიშნულებას. მაგალითად: „ She decided to stay at home for avoiding the meeting with him” (Mitchel, 1973: 25). („სახლში დარჩენა გადაწყვიტა, რადგან მასთან შეხვედრის სურვილი არ ჰქონდა“)(ნ. ჩუბინიძე). მოცემული რედუცირებული ტიპის წინადადება რთული ქვეწყობილი წინადადების გამოყენებით შემდეგ სახეს მიიღებს: As she wanted to avoid the meeting with him she decided to stay home. მოცემულ რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ წინადადებებს შორის მიზნის გარემოებით დაქვემდებარებული სინტაქსური წყობაა. მთავარი წინადადებაა „She decided to stay home“ და მისი დაქვემდებარებული კი „As she wanted to avoid the meeting with him”.

მსგავსი სინტაქსური დამოკიდებულებაა წინადადებაში „As the judge wanted to provide the boys with food and decent shelter he recommended to send the boys to the state industrial school” (Mitchel, 1973: 24). („მოსამართლეს სურდა, რომ ბიჭებს საჭმელი და თავშესაფარი ჰქონოდა, ამიტომ მათი პანსიონატში გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო“)(ნ. ჩუბინიძე). მოცემულ რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენელ წინადადებებს შორის ასევე მიზნის გარემოებით დაქვემდებარებული სინტაქსური წყობაა. მთავარი წინადადებაა „He recommended to send the boys to the state industrial school“ და მისი დაქვემდებარებული „As the judge wanted to provide the boys with food and decent shelter”.

მოცემულ მაგალითებში რედუცირებულ წინადადებებში გამოყენებულ სახელწმუნურ ფორმებსა და რთული ქვეწყობილი წინადადების დაქვემდებარებულ ნაწილში გამოყენებულ ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებებს შორის ისევ სრული თანხვედრაა გვარის და ასპექტის კატეგორიების მიხედვით. კერძოდ, ორივე შემთხვევაში დაქვემდებარებულ ნაწილში ზმნა-შემასმენელი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტით არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, სახელწმუნური ფორმის საშუალებით რედუცირებულ წინადადებაში გერუდივი მოქმედებითი გვარის მარტივი ასპექტის ფორმით არის წარმოდგენილი.

დასკვნა. ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ მოძიებული და შესწავლილი მაგალითების დაკვირვების და ანალიზის შედეგად გამოვლინდა ინგლისურ ენაში სახელწმუნების სინტაქსური ფუნქციის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადების რედუცირების საშუალებას იძლევა და ეს ცვლილება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. კერძოდ:

ა) დამოკიდებული წინადადებების ზმნა სახელწმუნურ ფორმად შეიცვლება და შესაბამის სინტაქსურ დამოკიდებულებას გამოხატავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენის მიერ გამოხატულ მოქმედების მიმართ.

ბ) რთული დაქვემდებარებული წინადადებიდან ამოვარდება მაქვემდებარებელი კავშირები.

გ) რთული ქვემდებარული წინადადების რედუცირება სახელწმუნური ფორმების საშუალებით ძირითადად მაშინაა შესაძლებელი, როდესაც რთული დაქვემდებარებული წინადადების დაქვემდებარებულ და მთავარ წინადადებებს ქვემდებარე ერთიდაიგივე სუბიექტური პირობათაა გადმოცემული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- მიჩელი, მ. (2014). *ქარწაღებულნი*. (ნ. ჩუბინიძე, მთარგმნ.). თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
- მოემი, უ. ს. (1972). *მთვარე და ექვსი პენსი*. (ა. ჭეიშვილი, მთარგმნ.). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- უაილდი, ო. (2017). *დორიან გრეის პორტრეტი*. (თ. მალრაძე, მთარგმნ.). თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.
- Berman, M. (1978). *Practice in the Conditional*. London: Longman.
- Duffley, P. J. (2006). *The English-Gerund-Participle: A Comparison with Infinitive*. Peter Lang. Washington DC., Library of Congress Cataloging-in- Publication Data.
- Gogsadze, I., Mamatsashvili, N., & Bolkvadze, S. (1989). *A Course in Current English Grammar*. vol. 2. Tbilisi: TSU.
- Maugham, W. S. (1969). *The Moon and Sixpence*. Moscow: Progress Publishers.
- Mitchel, M. (1973). *Gone with the Wind*. Moscow: Progress Publishers.
- Wild, O. (1979). *The Canterville Ghost. The Picture of Dorian Gray*. Moscow: Progress Publishers.

REFERENCES:

- micheli, m. (2014). *karts'aghebulni [Gone with the Wind]*. (N. Chubinidze, Trans.). Tbilisi: Publishing House „Palitra L“.
- moemi, u. s. (1972). *mtvare da ekvsi p'ensi [The Moon and Sixpence]*. (A. Cheishvili, Trans.). Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.

- uaildi, o. (2017). *dorian greis p'ort'ret'i [The Picture of Dorian Gray]*. (T. Maghradze, Trans.). Tbilisi: Publishing House „Palitra L“.
- Berman, M. (1978). *Practice in the Conditional*. London: Longman.
- Duffley, P. J. (2006). *The English-Gerund-Participle: A Comparison with Infinitive*. Peter Lang. Washington DC., Library of Congress Cataloging-in- Publication Data.
- Gogsadze, I., Mamatsashvili, N., & Bolkvadze, S.(1989). *A Course in Current English Grammar*. vol. 2. Tbilisi: TSU.
- Maugham, W. S. (1969). *The Moon and Sixpence*. Moscow: Progress Publishers.
- Mitchel, M. (1973). *Gone with the Wind*. Moscow: Progress Publishers.
- Wild, O. (1979). *The Canterville Ghost. The Picture of Dorian Gray*. Moscow: Progress Publishers.